# მოდული

## 1. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **სახელწოდება:** | მოქალაქეობა |
| | |
| **მოცულობა კრედიტებში:** | 10 |
| **მოდულზე დაშვების წინაპირობა:** | საბაზო განათლება |
| **მოდულის მიზნები:** | **მოდული მიზნად ისახავს, პროფესიულმა სტუდენტმა:**<br>• გააცნობიეროს მოქალაქის როლი სახელმწიფოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;<br>• ამოიცნოს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემები და საკუთარი ჩართულობით იზრუნოს მათ მოგვარებაზე;<br>• განსაზღვროს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობის ფორმები და საშუალებები;<br>• განივითაროს დარგობრივი ენით ოპერირებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კვლევისთვის საჭირო უნარები;<br>• დაინახოს საკუთარი ქვეყნის ადგილი და როლი მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. |

**მოდულის აღწერა:**
მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოქალაქეობისა და ისტორიის სტანდარტებთან.

## 2. სტანდარტული ჩანაწერები

| სწავლის შედეგები<br><br>**პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს:** | შესრულების კრიტერიუმები<br><br>**პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:** | კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები | შეფასების მიმართულება |
|---|---|---|---|
| 1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება. | • **სხვადასხვა ეპოქასა** და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლების გამოყოფა;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში **სხვადასხვა ტიპის დანაშაულის** გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი შემცირების გზების შესახებ მსჯელობა;<br><br>• ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ერთმანეთთან შედარება;<br><br>• **უმცირესობებსა** და **მოწყვლად ჯგუფებთან** საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებისა და მათი დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა;<br><br>• ამა თუ იმ **ეპოქის** საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება;<br><br>• ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების კვლევა. | **ეპოქა** – ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები, ახალი დრო, „ხანგრძლივი XIX საუკუნე“, საბჭოთა პერიოდი, თანამედროვეობა.<br><br>**სხვადასხვა ტიპის დანაშაული** – დისკრიმინაცია, ძალადობა, კორუფცია, ტრეფიკინგი, ტერორიზმი.<br><br>**უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები** – ეთნიკური, ენობრივი, კულტურული, რელიგიური უმცირესობები, შშმ პირები. | გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. **დემოკრატიის პრინციპების** ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება. | • **პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში** მონაწილეობის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის დასაბუთება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში ინფორმაციის მოპოვების და საჯაროობის უზრუნველყოფის გზების შედარება; პროცედურების დაცვით მისთვის სასურველი/ საინტერესო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა;<br><br>• წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედე-გების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/ უკუსვლასთან დაკავშირება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში **ხელისუფლების დანაწილების პრინციპი**ს რეალიზების ერთმანეთთან შედარება;<br><br>• ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი **მმართველობის ფორმებისა** და **პოლიტიკურ რეჟიმების** მახასიათებლების შედარება;<br><br>• კულტურული, ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნების საზოგადოების/ სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირება;<br><br>• ძლიერი თვითმმართველობის სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირება. | **დემოკრატიის პრინციპები –** მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, ხელისუფლების დანაწილება, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და კონტროლი, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა, რეგულარული და სამართლიანი არჩევნები, ტოლერანტობა.<br><br>**პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმები** – არჩევნები, რეფერენდუმი.<br><br>**ხელისუფლების დანაწილება –** ხელისუფლების 3 შტოდ (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო) დანაწილება.<br><br>**მმართველობის ფორმების –** მონარქია, რესპუბლიკა.<br><br>**პოლიტიკური რეჟიმი** – დემოკრატია, ტოტალიტარიზმი, ავტორიტარიზმი. | გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება. | • **ისტორიულ/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში** ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა;<br><br>• სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/ პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო **გზების** დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;<br><br>• სამოქალაქო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის როლის კვლევა;<br><br>• მმართველობით სტრუქტურებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიზეზების გამოკვეთა;<br><br>• წარსულსა და თანამედროვეობაში რელიგიის, როგორც ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობების შედარება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობების შედარება და კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირება. | **ისტორიული/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენები** – აჯანყება, არჩევნები, რევოლუცია.<br><br>**პრობლემების მოგვარების გზები** – სოციალური პრობლემების ადვოკატირება, ლობირება. | გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება |
| 4. საკუთარი გადაწყვეტილებების/ შეხედულებების ისტორიული წყაროების/ უმთავრესი **სამართლებრივი დოკუმენტების** *(მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია)* საფუძველზე დასაბუთება; ამ | • ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქის **სოციალური სტრუქტურების** შედარება;<br><br>• დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის დასაბუთება; | **სამართლებრივი დოკუმენტები** – სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტები.<br><br>**სოციალური სტრუქტურები:** პირველყოფილი საზოგადოება, წოდებრივი საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება. | გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება |

| | | | |
|---|---|---|---|
| დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება. | • კონკრეტულ ეპოქაში ქართული სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების კვლევა;<br><br>• კონკრეტული მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო/საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგების შეფასება;<br><br>• წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში განვითარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის/ პროცესის საქართველოზე მოხდენილ ნეგატიურ ან პო-ზიტიურ გავლენასთან დაკავშირება;<br><br>• რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე ამა თუ იმ ეპოქაში მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო ფაქტორების დაჯგუფება;<br><br>• ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;<br><br>• ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარებასთან დაკავშირება;<br><br>• სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის/ საზოგადოების დამახასიათებელი მსოფლმხედველობების შედარება. | | |

| სამიზნე ცნებები | ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები |
|---|---|
| სოციალიზაცია | • ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს;<br>• ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას; |
| დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები | • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში;<br>• დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>• დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). |
| სამოქალაქო მონაწილეობა | • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>• აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br>• სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. |
| დრო | • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• ცვალებადობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ორგანულ კავშირს გულისხმობს, იმ პირობით რომ არაფერია უცვლელი და დროში გაყინული;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• ისტორიის პერიოდიზაციის პირობითი ხასიათი აქვს;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ. |
| სივრცე | • ადამიანთა განსახლების დიდი ან მცირე არეალები გარკვეული კულტურული ან ცივილიზაციური ერთობით შეიძლება ხასიათდებოდეს;<br>• გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და |

| | |
|---|---|
| | კულტურული მნიშვნელობა აქვთ. |
| **საზოგადოება** | • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ ყოველ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ იდენტობა, ინტერესი და საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე.<br>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილი არიან; (განსხვავება საბაზოსა და საშუალოს შორის იქნება მაგალითების წრის განსაზღვრა)<br>• საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ; |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი** | • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით. |
| **ძალაუფლება** | • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, იდეოლოგია;<br>• ზოგ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. |
| **წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა** | • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>• ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. სანდოობის ხარისხის მიხედვით წყაროები იყოფიან პირველად და მეორად წყაროებად;<br>• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია;<br>• ყველა ისტორიულ საკითხს თავისი შესწავლის ისტორია აქვს, რომელსაც ისტორიოგრაფიას უწოდებენ;<br>• ისტორიული მოვლენების კვლევაზე გავლენას ახდენს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება;~<br>• კვლევის დროს წყაროების მითითება ისტორიკოსის ეთიკის ნაწილია. |

### 3. დამხმარე ჩანაწერები

### 3.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

| სწავლის შედეგი | თემატიკა | სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები | შეფასების მეთოდი/მეთოდები | მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის |
|---|---|---|---|---|
| 1 | • თავისუფლების დიდი ქარტია;<br>• ინგლისის რევოლუცია/ სამოქალაქო ომი;<br>• საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ადამიანის უფლებები;<br>• აშშ-ის ჩამოყალიბება;<br>• ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში;<br>• 1905-1917 წწ. რევოლუციების შედეგები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისთვის;<br>• საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა;<br>• მეორე მსოფლიო ომი და ნიურნბერგის პროცესი;<br>• საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;<br>• გაერთიანებული ერების | ✓ მინი- ლექცია,<br>✓ პრაქტიკული სავარჯიშო:<br>• წყაროს გარჩევა;<br>• ვიდეომასალის, ფილმების *რეკლამის, ან საიტის* გარჩევა;<br>• ვენის დიაგრამის მეშვეობით შედარებითი ანალიზი;<br>• მოთხრობის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;<br>• ისტორიულ თემატურ რუკაზე მუშაობა (სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე);<br>• რეფერატი/თემა;<br>• საინფორმაციო ტიპის პროექტზე (გაზეთი, პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი) მუშაობა; | ➢ ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა;<br>➢ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების წარმოდგენა, მისი განხილვა/დისკუსია;<br>➢ ინდივიდუალური პროექტის/ ჯგუფური პროექტების შედეგების Power-Point-ში პრეზენტაცია . | **გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება**<br>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.<br>გ) პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია (ელექტრონული მასალა). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ორგანიზაცია;<br>• თანამედროვე საქართველო და ევროპული ინტეგრაცია;<br>• ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო სტრუქტურები (სახალხო დამცველი, სასამართლო და სამართალდამცავი უწყებები) და არასამთავრობო ორგანიზაციები;<br>• ტრეფიკინგი/დისკრიმინაცია/ ნარკომანია. | • როლური თამაში - პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;<br>• კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება....)<br>• ყველასათვის ცნობილი აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენის გარჩევა;<br>• საგაზეთო სტატიის გარჩევა;<br>• ყოფითი შემთხვევის გარჩევა;<br>• პრეზენტაცია Power Point-ში.<br>✓ დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);<br>✓ ვიქტორინა. | | |
| 2 | • მონაწილეობის კულტურა: შესაძლებლობები, ფორმები და მექანიზმები;<br>• საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ვალდებულებანი;<br>• საჯარო ინფორმაციის გამცემი ორგანოები და ინფორმაციის მოპოვების მექანიზმები;<br>• ათენის დემოკრატია;<br>• რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა;<br>• წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები;<br>• რენესანსი და ჰუმანიზმი;<br>• განმანათლებლობა და მისი გავლენები;<br>• საქართველოს ეროვნული საბჭო | ✓ მინი- ლექცია,<br>✓ პრაქტიკული სავარჯიშო:<br>• წყაროს გარჩევა;<br>• ვიდეომასალის, ფილმების *რეკლამის, ან საიტის* გარჩევა;<br>• ვენის დიაგრამის მეშვეობით შედარებითი ანალიზი;<br>• მოთხრობის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;<br>• ისტორიულ თემატურ რუკაზე მუშაობა (სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე);<br>• რეფერატი/თემა;<br>• საინფორმაციო ტიპის | ➢ ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა;<br>➢ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების წარმოდგენა, მისი განხილვა და დისკუსია;<br>➢ ინდივიდუალური პროექტის/ ჯგუფური პროექტების შედეგების Power-Point-ში პრეზენტაცია. | **გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება**<br>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.<br>გ) პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია (ელექტრონული მასალა). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და დამფუძნებელი კრება;<br>• საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა. | პროექტზე (გაზეთი, პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი) მუშაობა;<br>• როლური თამაში - პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;<br>• კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება....)<br>• ყველასათვის ცნობილი აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენის გარჩევა;<br>• საგაზეთო სტატიის გარჩევა;<br>• ყოფითი შემთხვევის გარჩევა;<br>• პრეზენტაცია Power Point-ში.<br>✓ დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);<br>✓ ვიქტორინა. | | |
| 3 | • ქრისტიანული მისიონერობის შედეგები რომის იმპერიასა და მის გარეთ;<br>• ფეოდალიზმი და ქალაქები შუა საუკუნეებში;<br>• საქართველოს ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება;<br>• საქართველოს სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად;<br>• ბახტრიონის აჯანყება;<br>• ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა;<br>• 1832 წლის შეთქმულება; | ✓ მინი- ლექცია,<br>✓ პრაქტიკული სავარჯიშო:<br>• წყაროს გარჩევა;<br>• ვიდეომასალის, ფილმების *რეკლამის, ან საიტის* გარჩევა;<br>• ვენის დიაგრამის მეშვეობით შედარებითი ანალიზი;<br>• მოთხრობის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;<br>• ისტორიულ თემატურ რუკაზე მუშაობა | ✓ ზეპირი ან/და წერილო-ბითი გამოკითხვა;<br>✓ პროფესიული სტუდენ-ტის მიერ შესრულებუ-ლი დავალების წარ-მოდგენა, მისი განხილ-ვა და დისკუსია;<br>✓ ინდივიდუალური პროექტის/ჯგუფური პროექტების შედეგების Power-Point-ში პრეზენტაცია . | **გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება**<br>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | • თერგდალეულთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ;<br>• ეროვნული მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 20-70-იან წლებში. | (სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე);<br>• რეფერატი/თემა;<br>• საინფორმაციო ტიპის პროექტზე (გაზეთი, პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი) მუშაობა;<br>• როლური თამაში - პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;<br>• კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება....)<br>• ყველასათვის ცნობილი აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენის გარჩევა;<br>• საგაზეთო სტატიის გარჩევა;<br>• ყოფითი შემთხვევის გარჩევა;<br>• პრეზენტაცია Power Point-ში.<br>✓ დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);<br>✓ ვიქტორინა. | | გ) პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია (ელექტრონული მასალა). |
| 4 | • ძველი აღმოსავლეთი და საქართველო;<br>• ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო;<br>• ბერძენ-სპარსელთა ომები;<br>• ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო;<br>• რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში | ✓ მინი- ლექცია,<br>✓ პრაქტიკული სავარჯიშო:<br>• წყაროს გარჩევა;<br>• ვიდეომასალის, ფილმების *რეკლამის, ან საიტის* გარჩევა;<br>• ვენის დიაგრამის მეშვეობით შედარებითი ანალიზი;<br>• მოთხრობის, | ✓ ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა;<br>✓ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების წარმოდგენა, მისი განხილვა და დისკუსია;<br>✓ ინდივიდუალური | **გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება**<br>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და საქართველო;<br>• ქრისტიანობა და საქართველო;<br>• ვახტანგ გორგასალი;<br>• ბიზანტია-ირანის (VI-VII სს.) დაპირისპირება და საქართველო;<br>• მსოფლიო საეკლესიო კრებები;<br>• არაბები და საქართველო;<br>• ისლამი და არაბული კულტურა მსოფლიოსა და საქართველოში;<br>• თურქ-სელჩუკები, ჯვაროსნები და საქართველო;<br>• თამარ მეფის ეპოქა;<br>• გიორგი ბრწყინვალე;<br>• ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის;<br>• სეფიან-ოსმალთა დაპირისპირება და საქართველო;<br>• საქართველო და გეორგიევსკის ტრაქტატი;<br>• საფრანგეთის პირველი რესპუბლიკა და ნაპოლეონის ეპოქა;<br>• პირველი მსოფლიო ომი და პარიზის კონფერენცია<br>• საქართველო საბჭოთა ეპოქაში;<br>• ეთნოკონფლიქტები საქართველოში;<br>• ისტორიული აზრის განვითარების თავისებურებები: ა) ანტიკური; ბ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის (ქართული და ევროპული) გ) განმანათლებლობის პერიოდის, დ) XIX საუკუნის, ე) XX საუკუნის;<br>• ისტორიის პერიოდიზაციის სისტემებები: სამწევროვანი დაყოფა, ცივილიზაციური დაყოფა. | ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;<br>• ისტორიულ თემატურ რუკაზე მუშაობა (სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე);<br>• რეფერატი/თემა;<br>• საინფორმაციო ტიპის პროექტზე (გაზეთი, პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი) მუშაობა;<br>• როლური თამაში - პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;<br>• კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება....)<br>• ყველასათვის ცნობილი აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენის გარჩევა;<br>• საგაზეთო სტატიის გარჩევა;<br>• ყოფითი შემთხვევის გარჩევა;<br>• პრეზენტაცია Power Point-ში.<br>✓ დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);<br>✓ ვიქტორინა. | პროექტის/ ჯგუფური პროექტების შედეგების Power-Point-ში პრეზენტაცია . | სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.<br>გ) პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია (ელექტრონული მასალა). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | • პოსტინდუქსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე. | | | |
| **დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში)** | მოდულში „მოქალაქეობა" სწავლა-სწავლის შედეგები არ მიიღწევა თანმიმდევრობით. მათზე მუშაობა სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული ეს მოდული ზოგადი კომპეტენციის გამომუშავებისთვის განსაზღვრული მოდულია. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე წარსულსა და აწმყოში მიმდინარე მნიშვნელოვან სოციალურ პროცესების გაგებაში დაეხმარება; საზოგადოებრივ პრობლემებთან შეჯახებისას აუცილებელ, საჭირო აქტივობების გამოყენების უნარ-ჩვევებით აღჭურვავს. მისი სწავლება სასურველია მიმდინარეობდეს ინტენსიურად, ყოველდღიურად სასწავლო აუდიტორიაში, სადაც განთავსებულია დაფა, პროექტორი, ინტერნეტი და დამხმარე აუცილებელი თვალსაჩინოება.<br><br>**კავშირი დარგობრივ მოდულებთან:** მოდულით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად მიზანშეწონილია შესასწავლ პროფესიასთან დაკავშირებული პროექტების დამუშავება და შესაბამისი თემატიკის კვლევა.<br>შესაძლებელია საკვლევ დარგთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პრობლემის ამოცნობა და სათემო პროექტის გაკეთება *(სამოქალაქო აქტივიზმი).* | | | |

**3.2. რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას

(მისაღწევი სწავლის შედეგების თვისებრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება – საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.